150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

26 / აპრილი / 2023 წ.

KA020153934359123

№ **22/2978**

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ხონის მუნიციპალიტეტში, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე 308600 $მ^3$ ტუფოქვიშაქვის (სხვა საშენი მასალა) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 53609/39946).

ლიცენზია გაიცემა სავარაუდოდ 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად), მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 308600 $მ^3$-ს, წელიწადში საშუალოდ 15430 $მ^3$-ს. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებული 15430 $მ^3$-ზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად, მდებარეობს ზღვის დონიდან 150-180 მ. სიმაღლეზე, ხონის მუნიციპალიტეტში, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცულ ტერიტორიაზე, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები.

სალიცენზიო ობიექტიდან 500 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ. ტოპ. რუკა - 1გვ. shape ფაილი.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე